მეოთხე კლასი

**ჯამური ქულა:** 100
**საკითხების რაოდენობა:** 40

ტესტი შედგება 4 სავარჯიშოსაგან. თითოეული მათგანი ამოწმებს მოსწავლის სიტყვათა ამოცნობის, მართლწერის, თარგმნისა და მარტივი გრამატიკული ცოდნის დონეს.

## #1 ილუსტრაციების ამოცნობა — *Choose the correct answer according to the picture*

**ქულა:** 10
**საკითხი:** 5 (თითო 2 ქულა)

მოსწავლე უნდა დააკვირდეს სურათს და სურათის მიხედვით შეარჩიოს შესაბამისი სიტყვა მოცემული სამი ვარიანტიდან (A, B. C).

მაგალითად:  **A. sleeping** B. running C. eating

## #2 სიტყვების სწორი მართლწერა - Choose the correctly spelled word

**ქულა:** 30
**საკითხი:** 10 (თითო 3 ქულა)

ამ სავარჯიშში მოსწავლემ უნდა იპოვოს სწორად დაწერილი სიტყვა სამ ალტერნატივას შორის (A, B, C). სავარჯიშო ამოწმებს ინგლისური მართლწერის ცოდნას.

მაგალითი:

**კითხვა:** A. read B. reade C. raede
სწორია **A. read**.

## #3 სიტყვების თარგმნა - Match A, B or C with the Georgian translation

**ქულა:** 30
**საკითხი:** 10 (თითო 3 ქულა)

მოსწავლემ უნდა შეარჩიოს მოცემული ქართული სიტყვის ან ფრაზის სწორი ინგლისური თარგმანი. სავარჯიშო ამოწმებს სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნასა და მარტივი ფრაზების ამოცნობის უნარს.

მაგალითი:

**ახალი კომპიუტერი:** A. an old computer B. a new computer C. a big computer
სწორი პასუხია **B. a new computer**.

## #4 წინადადებების შევსება – Choose the most suitable word for the missing spaces

**ქულა:** 30
**საკითხი:** 15 (თითო 2 ქულა)

სავარჯიშო მოიცავს მარტივ წინადადებებს, სადაც გამოტოვებულია სიტყვა. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი ვარიანტი (A, B, C).
კითხვები მოიცავს ყოველდღიურ თემებს: საგნებს, ცხოველებს, მოქმედებებს, წელიწადის დროებს, გრძნობებს, დახასიათებებს.

მაგალითი:

**Ice cream is … .** A. hot B. cold C. thin
სწორი პასუხია **B. cold**

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 4 ქულიანს.
ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ პროფილებში შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი კურსი.

მოსამზადებელ კურსს აქვს ოლიმპიადის **I ტურის მსგავსი სტრუქტურა**.
მოსწავლეს ეძლევა **1 საათი** ტესტის შესასრულებლად.
მთავარი უპირატესობაა ის, რომ მოსწავლეს შეუძლია:

- გადახედოს დაშვებულ შეცდომებს
- გააანალიზოს სუსტი მხარეები
- უკეთ მოემზადოს ოლიმპიადის I ტურისათვის